საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N2241 2025 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

პლასტმასის გარკვეული პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

1. ნარჩენების მართვის კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პლასტმასის ნარჩენების წარმოქმნის შემცირების მიზნით, პლასტმასის ჭიქების, პლასტმასის კონტეინერებისა და პლასტმასის 3 ლიტრამდე ბოთლებით სასმლის სახელმწიფო შესყიდვა არ განახორციელონ იმ შემსყიდველმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ფინანსდებიან ქვემოთ ჩამოთვლილი სახსრებით:

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებული სახსრებით;

ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების სახსრებით;

გ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით;

დ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახსრებით;

ე) საბიუჯეტო ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ასევე სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელი, ამ პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საწარმოების მიერ უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, აგრეთვე სხვა სახელმწიფოს რეზიდენტი პირებისაგან გრანტისა და კრედიტის სახით მიღებული სახსრებით;

ვ) სახელმწიფო გარანტიით მიღებული საკრედიტო და საინვესტიციო სახსრებით;

ზ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის (გარდა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისა) სახსრებით, ამ სახსრების წარმოშობის წყაროს მიუხედავად;

თ) იმ საწარმოს სახსრებით, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს/ფლობენ სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები.

2. განკარგულება არ ვრცელდება პლასტმასის 3 ლიტრამდე ბოთლებით სასმლის იმ სახელმწიფო შესყიდვებზე, რომელიც ხორციელდება თავდაცვის ძალებისა და სამხედრო მოსამსახურეთა საჭიროებისთვის.

3. განკარგულება ძალაშია 2026 წლის 1 აპრილიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**